ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2515279

ნომერი: AR1389236

თარიღი : 23.03.2016

გაცემის თარიღი : 31.03.2016

გაცნობის თარიღი : 31.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 75 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- როლანდ ნაწილაშვილი პ/ნ 01015004326
- თბილისი ვ.გორგასალის ქ. კორ. 2 ბ. 13

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1389236 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, გორგასალის ქ. #75-ში მშენებლობის ნებართვის გაცემას და ითხოვთ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით წარმოებაში ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2015 წლის 21 მაისის #21 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის #15-63 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასალის ქ. #75–ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ #01.18.06.019.063), ფუნქციური ზონის – სპეციალური ზონა 1–ის, ზოგადი საცხოვრებელი ზონით ცვლილებას მიეცა თანხმობა. (სამსახურის წერილი #1917034)

2015 წლის 1 ოქტომბრის #2190876 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.18.06.019.063) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. აღნიშნულ ბრძანებაში 04.02.2016წ. #2414961 ბრძანებით შევიდა ცვლილება.

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2015 წლის 03 დეკემბრის #56 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 14 დეკემბრის #4449 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასალის ქ. #75–ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ #01.18.06.019.063) განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=4.2–ით. (სამსახურის წერილი #2334402)

2016 წლის 06 იანვრის #AR1368875 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ზურაბ აბზიანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, გორგასალის ქ. #75–ში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.18.06.019.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის მშეთანხმება, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან აღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1303199, #AR1341885, #AR1371395 და #AR1360943 განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.